ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მყოფ პაციენტთა უფლებები

მარტივად წასაკითხი ფორმატი



ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მყოფ პაციენტთა უფლებები

მარტივად წასაკითხი ფორმატი

2020 წელი

დოკუმენტი შემუშავებულია ორგანიზაციების - „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ და „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ - და ექსპერტების - ლია ტაბატაძისა და ოლღა კალინას - მიერ.

დოკუმენტი მომზადდა პროექტის - „ქმედუნარიანობის ინსტიტუტის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში“ - ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) მიერ და მას ახორციელებენ ორგანიზაციები - „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ (PHR), „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ (GASW) და „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“ (GIP – Tbilisi).

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და შესაძლოა, არ ასახავდეს „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) შეხედულებებს.

რედაქტორი: ნინო ბექიშვილი
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე
ილუსტრაციები და გარეკანი: თათია ნადარეიშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge
info@emc.org.ge
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

შესავალი

ამ დოკუმენტიდან უფრო მეტს გაიგებთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მყოფი ადამიანების უფლებების შესახებ.

ნებაყოფლობითი მკურნალობა



თქვენ გაქვთ უფლება, მიიღოთ თქვენთვის საჭირო მკურნალობა. მკურნალობა უნდა გიტარდებოდეთ თქვენი თხოვნით ან ინფორმირებული თანხმობით.

ინფორმირებული თანხმობა ნიშნავს, როცა ექიმმა გასაგებად აგიხსნათ, რა დაავადება გაქვთ, რა მკურნალობა ჩაგიტარდებათ, რომელ მედიკამენტებს მიიღებთ, როგორი გავლენა ექნება მათ თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, როგორია მკურნალობის მოსალოდნელი შედეგი და ამის შემდეგ თქვენ გაქვთ უფლება, გამოხატოთ თანხმობა მკურნალობაზე.

საავადმყოფოში მოხვედრის დროს ექიმი ითხოვს თქვენს ხელმოწერას ინფორმირებული თანხმობის ფურცელზე. თუ ხელს მოაწერთ, ეს ნიშნავს, რომ თქვენ თანახმა ხართ მკურნალობაზე. თქვენ გაქვთ უფლება, უარი თქვათ მკურნალობაზე.



თუ ფსიქიკური პრობლემის გარდა გაქვთ ჯანმრთელობის სხვა პრობლემა, მაგალითად, გაწუხებთ გული, გაქვთ სიცხე ან გახველებთ, გაქვთ უფლება, ჩაგიტარდეთ გამოკვლევები, მიიღოთ სამედიცინო დახმარება და საჭიროების შემთხვევაში, იმკურნალოთ ჩვეულებრივ საავადმყოფოში.

არანებაყოფლობითი მკურნალობა

არანებაყოფლობითი მკურნალობა ნიშნავს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობას თქვენი თანხმობის გარეშე. არანებაყოფლობითი მკურნალობა ტარდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

არანებაყოფლობითი მკურნალობა გამოიყენება მაშინ, როდესაც მიიჩნევა, რომ თქვენ:

- ფსიქიკური აშლილობის გამო არ გაქვთ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- თქვენთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევა შეუძლებელია სტაციონარში მოთავსების გარეშე და
- ფსიქიატრიული დახმარების დაყოვნებამ საფრთხე შეიძლება შეუქმნას თქვენს ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან შესაძლებელია, საკუთარი ქმედებით თქვენ მიიღოთ ან სხვას მიაყენოთ მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.





თუ ეს კრიტერიუმები არის სახეზე, თქვენს ნათესავებს, მეზობლებს, ექიმებს შეუძლიათ სასწრაფო დახმარების გამოძახება.

სასწრაფო დახმარების ექიმმა ან ფსიქიატრმა უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა საჭირო არანებაყოფლობითი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. თუ თქვენ უარს ამბობთ საავადმყოფოში წასვლაზე, სასწრაფო დახმარების ექიმს შეუძლია, პოლიცია გამოიძახოს. თუმცა, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანის დროს თქვენ გაქვთ უფლება, მიიღოთ ღირსეული მოპყრობა.



ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ, მორიგე ექიმი იღებს გადაწყვეტილებას, არის თუ არა საჭირო არანებაყოფლობითი მკურნალობა. თუ იგი ჩათვლის, რომ არანებაყოფლობითი მკურნალობა არის საჭირო, მაშინ მიიღებს გადაწყვეტილებას საავადმყოფოში თქვენი დატოვების შესახებ და შემოგთავაზებთ ხელმოწერას ინფორმირებული თანხმობის ფურცელზე.

თუ თქვენ თანხმობას ხელს არ მოაწერთ, ჩატარდება საექიმო კომისია. საექიმო კომისიამ უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა საჭირო თქვენი არანებაყოფლობითი მკურნალობა. თუ საექიმო კომისია გადაწყვეტს, რომ აუცილებელია არანებაყოფლობითი მკურნალობა, მაშინ საავადმყოფომ უნდა მიმართოს სასამართლოს.

სასამართლომ 1 დღეში უნდა ჩაატაროს სხდომა და გადაწყვიტოს, არის თუ არა საჭირო თქვენი არანებაყოფლობითი მკურნალობა.

სასამართლო სხდომაზე თქვენი მონაწილეობა აუცილებელია. თუ თქვენ არ გაქვთ ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, უფლება გაქვთ, მოითხოვოთ უფასო ადვოკატის დანიშვნა.

თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ არანებაყოფლობითი მკურნალობა საჭირო არ არის, თქვენ მაშინვე გაგიშვებენ ფსიქიატრიული საავადმყოფოდან.

თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ საჭიროა არანებაყოფლობითი მკურნალობა, თქვენ მოგიწევთ საავადმყოფოში დარჩენა მანამ, სანამ უკეთ არ გახდებით.

თქვენ გაქვთ უფლება, გაასაჩივროთ ანუ გააპროტესტოთ სასამართლოს გადაწყვეტილება არანებაყოფლობითი მკურნალობის შესახებ. ამისთვის გჭირდებათ ადვოკატის დახმარება.

დაიტოვეთ პროცესზე თქვენი ადვოკატის საკონტაქტო ტელეფონი, რომ შეგეძლოთ მასთან დაკავშირება. თუ ადვოკატი არ გყავთ, მოითხოვეთ უფასო ადვოკატი.

როდემდე გრძელდება არანებაყოფლობითი მკურნალობა?

ექიმი ვალდებულია გაგწეროთ, თუ უკეთ გახდებით და არ არის საჭირო თქვენი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ექიმს არ აქვს უფლება, საავადმყოფოში 6 თვეზე მეტ ხანს დაგაყოვნოთ, თუ იგი ისევ არ მიმართავს სასამართლოს.

საავადმყოფომ სასამართლოს მკურნალობის ვადის გასაგრძელებლად უნდა მიმართოს, თუ თქვენი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ეს კი ძალიან იშვიათად ხდება. პაციენტების უმრავლესობა საავადმყოფოს ტოვებს მოთავსებიდან რამდენიმე კვირაში.

სანამ ხართ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში

თქვენ იგივე უფლებები გაქვთ, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს. თქვენ არ კარგავთ თქვენს უფლებებს იმის გამო, რომ მოხვდით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

თქვენ გაქვთ უფლება კარგ და ადამიანურ მოპყრობაზე. ექიმები, მედდები, სანიტრები და სხვა ადამიანები არ უნდა მოგექცნენ ცუდად, უხეშად, მათ არ უნდა შელახონ თქვენი ღირსება. მათ ეკრძალებათ თქვენი დაშინება, ცუდი სიტყვებით მოხსენიება, დაცინვა, ფულის გამოძალვა.

არავის აქვს უფლება, გაიძულოთ სხვა პაციენტების მოვლა ან დალაგება.

აკრძალულია ფიზიკური შეზღუდვის ანუ სპეციალურ პალატაში თქვენი ჩაკეტვის ან ფიზიკური შებოჭვის, ან ნემსის გამოყენება თქვენი დაშინების ან დასჯის მიზნით. თქვენ გაქვთ უფლება, გაასაჩივროთ ფიზიკური შეზღუდვის სამართლიანობა სასამართლოში. ამისთვის დაგჭირდებათ ადვოკატის დახმარება.



თქვენ გაქვთ უფლება, მიიღოთ და გააგზავნოთ წერილები და გზავნილები შემოწმების გარეშე.



თქვენ გაქვთ დარეკვის უფლება და უფლება, მიიღოთ მნახველი ამისათვის განსაზღვრულ დროს და ადგილზე სხვა ადამიანების დასწრების გარეშე.

თქვენ გაქვთ უფლება, იყიდოთ
და იქონიოთ პირველადი
მოხმარების საგნები.

თქვენ გაქვთ უფლება,
შეასრულოთ რელიგიური
რიტუალი და მიიღოთ
მონაწილეობა საავადმყოფოში
გამართულ სპორტულ და
კულტურულ ღონისძიებებში.

თქვენ არ კარგავთ სოციალურ
პაკეტს ანუ პენსიას და უფლებას
თქვენს ქონებაზე.

თუ სოციალურ პაკეტს
ვერ იღებთ, შეგიძლიათ
კონსულტაციისთვის მიმართოთ
ფსიქიატრიული დაწესებულების
სოციალურ მუშაკს, ან მკურნალ
ექიმს.

უფლებების დაცვა

თუ რომელიმე თქვენი
უფლება ირღვევა, შეგიძლიათ
მოითხოვოთ ადვოკატი.
თუ თქვენი უფლებები ირღვევა,
შეგიძლიათ, შეიტანოთ
განცხადება სასამართლოში
და სხვა სახელმწიფო
დაწესებულებებში.

ფსიქიატრიული საავადმყოფო
ვალდებულია, მოგცეთ თქვენს
ადვოკატთან ცალკე შეხვედრის
საშუალება.

დაიცავით თქვენი უფლებები!

თუ თვლით, რომ თქვენი უფლებები ირღვევა, დაურეკეთ

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
  ცხელი ხაზი: 1505

- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს
  ტელ: 2 39 53 11

- სახალხო დამცველს
  ცხელი ხაზი: 1481

- ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს
  ტელ: 2 33 37 06

- პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის
  ტელ: 2 33 13 56

- ფსიქიატრიის სერვისმომხმარებელთა და გადარჩენილთა საქართველოს ქსელს
  ტელ: 558 72 36 76